ნინო ჩალაბაშვილი, კესო ჭკუასელი

ტუშას უნივერსიტეტი

Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო ტუშას უნივერსიტეტის (Tuscia University, Italy) მიერ ორგანიზებულ 2023 წლის საერთაშორისო პერსონალის ტრენინგის კვირეულის პროგრამაში (International Staff Training Week 2023).

პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გავეცანით ტუშას უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ადმინისტრაციას, მათ საქმიანობასა და მიზნებს; მონაწილეები დავესწარით ინოვაციური და ინკლუზიური სწავლების პრეზენტაციას და მონაწილეობა მივიღეთ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "workshop"-ში; ერაზმუსის საზოგადოების მართვაში ინოვაციური პრაქტიკის პრეზენტაციასა და დისკუსიაშიც, რომელიც დასრულდა მრგვალი მაგიდით შესაძლო თანამშრომლობის სფეროების დასადგენად. კვირეულის ფარგლებში მონაწილე ქვეყნებმა ასევე წარვადგინეთ პრეზენტაცია ჩვენს ქვეყანასა და წარმომადგენელ უნივერსიტეტებზე.

ვიზიტის კულტურული და სოციალური ღონისძიებების ნაწილში მონაწილეებს საშუალება გვქონდა შეგვესწავლა საბაზისო იტალიური ფრაზები, გავცნობოდით იტალიურ სამზარეულოს, მონაწილეობა მიგვეღო ვიტერბოს ქალაქისა და ბოლსენას ტბის ტურებში.

ტუშას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ,,ერაზმუს+"-ის აქტივობის ფარგლებში მიღებული გამოცდილება ღირებული იყო ერაზმუსის საზოგადოების წარმომადგენლების გაცნობის კუთხით, ისევე როგორც ინოვაციური პრაქტიკის გაზიარებისა თუ სამომავლო პოტენციური თანამშრომლობის სფეროების დადგენის კუთხით.